ხაშურის მოამბე

№32(356) 28 აგვისტო, კვირა, 2022 წელი

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი. მათ შორის ხალხში 15/28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება, მარიამობა გამოირჩევა. ეს ის დღეა, როდესაც წმინდა მარიამი იერუსალიმში გარდაიცვალა და თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული. ცოტა ხანში უფალმა იგი ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.

როგორ აღინიშნებოდა მარიამობის დღე საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში? გვესაუბრება ქალბატონი ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი): "მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარიამობის მარხვა უძღვის. მარხვა მძიმეა. დიდმარხვის მარიამობა მთელ საქართველოში დიდი უქმე იყო.

რაჭაში მარიამობა დიდი უქმე იყო. დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაშე ეჭირა, ილოცებდა და მარიამობის ძალასა და მადლს, მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. სადილისთვის საკურთხის, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრას გაამზადებდნენ. საამისოდ 7 ყველიან ან ქონიან სულის პურს გამოაცხობდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, ქათამს, სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცხი, ლავაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, უნდა დაეკლათ ცხვარი, მეტი პურიც გამოეცხოთ და სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.

ლეჩხუმში როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, რაიმეთი მაინც გაიხსნილებდა. დიასახლისი დილით ადრიანად ეზოს ხვეტდა, 3 სულის პურს აცხობდა, კლავდა ქათამს ან შაშხს ხარშავდა, ლავაშებს აცხობდა, ჩამოქნიდა სანთლებს, რათა მიცვალებულებისთვის სუფრა წაედგა ანუ გაეშალა, რაც ამ დღისთვის აუცილებელი იყო. გაშლილ სუფრაზე დგამდნენ ღვინით სავსე ჭიქებს და დებდნენ ყველაფერ იმას, რაც ახალი შემოსული იყო. დიასახლისი ილოცებდა და "მარიამობის გამჩენ ძალას" მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ლესინდის დღეობა იყო და აქ დიდძალი საქონელი იკვლებოდა. ერთხელ 20 ხარიც კი დაკლულა. ხარებს წვრილ საქონელსაც მიუმატებდნენ. სოფელში ამ დღესაც დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ. მოკეთეებს მაშინ ეპატიჟებოდნენ, თუ მათი სოფლის სალოცავს დღესასწაული არ ჰქონდა. იშლებოდა დიდი სუფრები, რომლებიც სამი დღე არ ლაგდებოდა. ხალხი ერთმანეთთან გადადიოდა სტუმრად, მხოლოდ ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ. მარამობისთვის შეთქმულ საკლავს სალოცავში მიიყვანდნენ, მიიტანდნენ ჩამოქნილ სანთელს, ფულს და მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა.

მარიობას ანუ მარიამობას **სამეგრელოში** მარაშონას/მარაშინას ეძახდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეც იყო და ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღემდე ახალ ხილს ეზოშიც კი არ მოწყვეტდა. წინა საღამოს თხემლის ტოტებით დაჯვარვა იცოდნენ, ანუ თხემლის ტოტები მიჰქონდათ ყანაში და სხვაგან. ამ დღეს სამეგრელოში ის წესები სრულდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლდებოდნენ და მეორე სახსნილო დღეს ლხინს ხორცით აგრძელებდნენ. აღდგომიდან მოყოლებული ყოველ კვირას და უქმე დღეებში ხალხი მინდვრად გადიოდა მოსალხენად, რასაც ჯარობა ეწოდებოდა. მარიამობის ჯარობა იმ წელს ბოლო ჯარობა იყო.

გურიაში ამ დღეს თაგვმარიობას, ყვავმარიობას, ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ. **კახეთში** მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი აწყურის წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. მლოცველი თეთრი გიორგის ეკლესიაში წინა დღეს, ზოგიც უფრო ადრე მიდიოდა. მლოცველები აქ მთელი კახეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან იყრიდნენ თავს. აქ დღესაც ბევრი ხალხი მიდის.

(დასასრული II გვერდზე)

შიდა ქართლის ახლადდანიშნული სახელმწიფო რწმუნებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და მერიის თანამშრომლებს შეხვდა

26 აგვისტოს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, შიდა ქართლის ახლადდანიშნული სახელმწიფო რწმუნებული(გუბერნატორი) მიხეილ შაყულაშვილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და გუბერნატორი თითოეული სამსახურისა და ა(ა)იპ-ების პრობლემებს თუ გამოწვევებს გაეცნო. დაისახა სამომავლო ერთობლივი მუშაობის გეგმები. აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს, რათა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ნებისმიერი პრობლემა ერთობლივი ძალით უმოკლეს ვადებში დაიძლიოს.

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

(დასასრული)

მლოცველები თავდაპირველად ეკლესიას მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდნენ. წინ მიდიოდნენ ქალები. მათ მამაკაცთა გუნდი მიჰყვებოდა. ორივე გუნდი რიგ-რიგობით გალობდა „დიდებას“: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“. საღამოს, როდესაც ზარს დარეკავდნენ, ხალხი ეკლესიასთან იყრიდა თავს. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, თავს იყრიდნენ მონა ქალები. მიაჩნდათ, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირჩევდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მონა ქალებს თეთრი თავსაფარი ჰქონდათ თავზე წაკრული, თეთრები ეცვათ, ფეხშიშვლები იყვნენ, ზოგჯერ მათ თეთრი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ჰქონდათ კისერზე. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უვლიდნენ გარშემო, გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისტავით ბამბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახვევდა. რომელიმე მონა ქალი კი ზოგჯერ შესასვლელი კარის წინ დაეცემოდა და მღვდელს, მლოცველს, ვისაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაებიჯებინა.

ხალხს სალოცავში შესაწირი ცხვრები მიჰყავდა. დაკვლის წინ მიუყვანდნენ მღვდელს, რომელიც საკლავს სანთლით ბალანს შეუტრუსავდა, იტყოდა: „წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმრთო მონისა შენისა“ და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა. ისინი, ვისაც შეთქმული, დათქმული ჰქონდა შანას ტარება და ვადა უკვე გასვლოდათ, მიდიოდნენ ეკელსიის დიაკვანთან, რომელიც მათ შესაწირ საკლავს, საღმრთოს, ბალანს შეაჭრიდა და მონებს შანას შეხსნიდა. შანა მავთულის იყო, ჯაჭვის მაგივრობას სწევდა და მონას ყელზე ჰქონდა შემოხვეული.

პირიქით ხევსურეთში მარიამობა მხოლოდ არხოტში აღინიშნებოდა, ხოლო პირაქეთში – სათემო ჯვრებში. ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა და მარიამობა პატარა დღეობად მიაჩნდათ. ასევე იყო ფშავშიც.

თუშეთში მარიამობას ზოგან ლუდსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ ძირითადად სუფრა სახლში მზადდებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარეზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სულებს. ისინი, ვისაც იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდნენ და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდნენ.

გუდამაყარში მარიამობას ხალხი ადგილობრივ ხატებშიც მიდიოდა და იქ აღნიშნავდა დღესასწაულს, მაგრამ ამ დღეს საერთო საგუდამაყრო სალოცავის, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობაა და ამიტომ ხალხი უმთავრესად იქით მიეშურებოდა.

ხალხის გადმოცემით პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ძმანი არიან. პირიმზე სოფელ ჩოხშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთშიო. თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში ექნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, საკლავი შაბათს უნდა დაიკლას.

ხალხი პირიმზეს ცის ნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახის. ვინც უნდა თხოვოს, ყველას მშველიაო. თურმე ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს არ უშვებდნენ სალოცავად. ფხიტურზე ყოფილა პირიმზე. ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევიაო. პირიმზეს იახსრისთვის უთხოვია, მე თუ ვერ შევძელი კერპების დმარცხება, შენ დამეხმარეო, მაგრამ თავადაც გამკლავებია.

მლოცველები პრიმზეში ღამისთევით მიდიან და მრავალი საკლავი (ცხვარი, კურატი) მიჰყავთ. დღემდე ხატში მიაქვთ ქადა-სანთელი. ხატში მისულ მლოცველს ქადა-სანთელი დეკანოზთან მიაქვს, რომელიც მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას ძველად მთლიანად მას უტოვებდნენ, ახლა სახლში მოაქვთ. ქადას სამწყალობნოს ეძახიან. დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყველა საკლავის დაკვლაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. ყველა იქ მყოფი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, დეკანოზი საკლავს ანთებული სანთლით ბალანს შეუტრუსავდა, დსტურები საკლავს ფეხებს დაუჭერდნენ, დეკანოზი ხანჯლით ყელს გამოჭრიდა, პატრონი კი ატყავებდა.

პირიმზეში გაყავდათ ბავშვები და ხატში მიბარების წესს ასრულებდნენ. ამჯერადაც ოჯახს დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი. დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა, ხოლო თუ გოგონა იყო, მარჯვენა ხელის გულზე. ხატში ფერხისას ასრულებდნენ. ძველად იგი ორსართულიანიც იყო. ფერხისას ამგვარ ტექსტზე მღეროდნენ:

“ჩვენი პირიმზის კარზედა
ხე ალვა ამოსულაო.
იმას დაუსხამს ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილაო”.

ამავე ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ლხინი, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადაპატიჟება. ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. როდესაც პირველად ხატს ანუ ჩვეულებრივ ჯვარს გამოაბრძანებდნენ, ეკლესიის კარის წინ ავადმყოფები პირქვე იყვნენ გაწოლილები. უხუცესი დეკანოზი (ხატში შეიძლება რამდენიმე დეკანოზი ყოფილიყო) ავადმყოფებს სამჯერ დროშის ტარით ჯვარს გადასახავდა. თავზე, წელზე და ორივე მხარზე ამ ტარს დააჭერდა, ავადმყოფს ცალი ფეხით წელზე შეადგებოდა, ახლა უკვე ფეხს აჭერდა და სამჯერ გადახტებ-გადმოხტებოდა. ამას ხატით გალახვას უწოდებდნენ. ამის შემდეგ დეკანოზი ჯვარს ლუდში ამოავლებდა და ამ ლუდს ავადმყოფს დაალევინებდა.

მთიულეთში მარიამობა საერთო სათემო დღეობა იყო. იკვლებოდა საერთო სათემო საკლავი, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იშლებოდა.

ხევში მარიამობა ცნობილი და ამ კუთხის მთავარი სალოცავის, გერგეთის სამების, დღესასწაულია. გერგეთში მარიამობაზე დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები მიდიოდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სტავროპოლიდან. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძნები და სხვეი. წირვა-ლოცვის გარდა იწირებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომლებსაც დეკანოზი კლავდა. იმართებოდა დოღი.”

ვარლამ გურგენიძე-- მხარეთმცოდნეობის ფუძემდებელი ხაშურის მუნიციპალიტეტში

მინდა საზოგადოებას კიდევ ერთხლ შევახსენო ის ადამიანები , რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ხაშურის რაიონის ისტორიის შესწავლაში და თავისი შრომით მომავალ თაობებს შეუნახეს ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მოხდა, ასევე თავისი როლი ითამაშეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საისტორიო მიმართულებით მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ უნარებს და სიყვარულს, თავისუფლად შეიძლება, ითქვას რომ ისტორიკოსის შრომა არცერთ მძიმე სამუშაოს არ ჩამოუვარდება,

ხაშურის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბებამ მოითხოვა რაიონის ისტორიის ცალკე შესწავლა, რათა მის მოსახლეობას ერთგვარი იდენტობის განცდა გასჩენოდა. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გადაწყდა, შექმნილიყო ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ვარლამ გურგენიძე.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები: ვარლამ იორდანეს ძე გურგენიძე 1913 წელს დაიბადა, შორაპანის მაზრის სოფელ ბოსლევში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, აქვე მუშაობდა შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლად. ხოლო 1937 წლიდან იგი ქარელის რაიონის სოფელ აბისის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. შემდგომ წლებში იგი ჯერ საღოლაშენის, შემდეგ კი აბისის არასრული საშუალო სკოლების დირექტორია. 1939 წელს ვ. გურგენიძე დააწინაურეს პარტიულ სამუშაოზე, იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ქარელის რაიკომში ინიშნება ინსრუქტორ-პროპაგანდისტად. 1945 წელს ვ.გურგენიძე დაუსწრებლად ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს. 1947 წლიდან იგი გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპოდენტად მუშაობს ხაშურის, ბორჯომისა და ქარელის რაიონებში.

1959 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდა ვარლამ გურგენიძე ხელმძღვანელობდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომ იტყვიან, მან ეს საქმე ნულიდან დაიწყო და თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, ბევრის გაკეთება შეძლო. რადგან კარგად ესმოდა საკიღხის სიღრმე, იცოდა პრობლემები და პოულობდა მათი გადაწყვეტის გზებს. ამის მაგალითად პირველი წერილიც გამოდგება, რომელიც მან, ადგილობრივ გაზეთში, 1959 წლის 12 ივლისს გამოაქვეყნა. აქ იგი არა მარტო აცნობებს საზოგადოებას, რომ 1959 წლის 1 ივლისიდან ხაშურს ახალი კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულება რომ შეემატა, არამედ იქვე აყალიბებს ზოგად გეგმას, თუ როგორ უნდა ჩაერთოს საზოგადოება მუზეუმის საქმიანობაში. იგი წერს- „მუზეუმში წარმოდგენილი იქნება რევოლუციამდელი და ახალი პერიოდის ამსახველი ექსპონატები. ამ მოვლენას აქტიურად უნდა გამოეხმაურონ რაიონის მშრომელები, გარდა ნივთიერი დახმარებისა, მონაწილეობა უნდა მიიღონ რაიონის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ხანის ნივთების გამოვლენაში, რომელიც მოსახლეობაშია მიმოფანტული.

მუზეუმს უნდა ჩაბარდეს მოსახლეობაში არსებული ძველი ქვის ხანისა და ბრინჯაოს ხანის, აგრეთვე გვიანი ფეოდალური პერიოდის საოჯახო, საომარი და მიწის დასამუშავებელი იარაღები, თიხის სურები, ქვევრები, ძვირფასი სამკაულები, უძველესი დროის ლურსმული, ნუსხა ხუცური დამწერლობის ნიმუშები, ძველი დროის სასროლი იარაღები, ცივი იარაღები, ცალლესული ან ორლესული ხმლები, შუბის წვერი, ძველი დროის მონეტები და ქაღალდის ფულები, რომელი სახელმწიფოსიც არ უნა იყოს.“

კარგად ჩანს, რომ ვარლამ გურგენიძემ კარგადაც იცოდა ჭეშმარიტი

(დასასრული III გვერდზე)

ვარლამ გურგენიძე-- მხარეთმცოდნეობის ფუძემდებელი ხაშურის მუნიციპალიტეტში

(დასასრული)

ისტორიის არსი, რადგან იმ პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიის და პოლოტიკური სისტემის თუ მისი ისტორიის ამსახველ მასალების მოთხოვნას მხოლოდ ერთი მოკლე ფრაზა აქვს დათმობილი, ასევე,--„ რევოლუციური ხასიათის წიგნები და გაზეთები“-ც ჩაგვაბარეთო.

მის ამ მოწოდებას კარგი შედეგი მოჰყვა,მუზეუმის საინვენტარო წიგნებიდან სჩანს,რომ მთელი რაიონის მასშტაბით დაიწყო მასალების მოტანა მუზეუმში: წაღვლიდან, ალიდან, ტკოციდან , ბრეძიდან, წრომიდან, აბანოდან, სურამიდან, იტრიიდან, აბისიდან, ხაშურიდან, ბრილიდან და ა.შ. მოაქვთ: კერამიკა, შუბის პირები, ბრინჯაოს საბრძოლო იარაღები და სამკაულები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

საინვენტარო წიგნების მიხედვით, ვარლამ გურგენიძის ხელმძღვანელობის პერიოდში 1959—1964 წლებში მუზეუმში შემოვიდა დაახლოებით 2000 ექსპონატი.

1 მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც 1959 წლის 28 სექტემბერს არის შედგენილი, ტკოცის სკოლის დირექტორი აკაკი მიხეილის ძე გრიგალაშვილი მუზეუმს აბარებს 12 ნივთს: ბრინჯაოს საკანჭურს, ბრინჯაოს სატევარს, ბრინჯაოს მტრედს, ბრინჯაოს ისრისპირს, ქვის თოხს, კაჟის ხერხის პირს, ანტიკური ხანის კერამიკას, თიხის სპილო, თიხის ცხვარს, ჩიბუხს, სათამაშო თიხის ქვევრს.

ვარლამ გურგენიძემ თავის გარშემო შემოიკრიბა რაიონის ინტელიგანცია, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილი,თვითონაც დაუღალავად შრომობდა და 1962 წლის 27 აპრილს უკვე მუზეუმი პირველ დამთვალიერებელს იღებს.

მისი ინიციატივით შეიქმნა მუზეუმთან დაახლოებული კორესპოდენტების ჯგუფი, ასევე მუზეუმს ჰყავდა აქტივი, რომელთა შესახებ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სპეციალური წერილი დაწერა ბატონმა ვარლამმა.

მუზეუმს თავდაპირველად ჰყავდა 34 კორესპოდენტი, ესენი ძირითდად იყვნენ: სკოლის დირექტორები და მასწავლებლები, რომლებსაც გამოყოფილი ჰქონდათ თავისი სამოქმედო ტერიტორია, ეწყობოდა კორესპოდენტების შეკრებები, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ,--ტრენინგებზე. ამ ღონისძიებას კარგი შედეგი ჰქონდაო,-- წერს ბატონი ვარლამი.

მუზეუმის კორესპოდენტები იყვნენ: წაღვლის სკოლის დირექტორი გიორგი გელაშვილი, იტრიის სკოლის ყოფილი დირექტორი (შემდეგ კულტურის განყოფილების გამგე) კარლო ნადირაძე, ტკოცის სკოლის დირექტორი აკაკი გრიგალაშვილი, აბანოს სკოლის დირექტორი ვლადიმერ გოგოლაძე, დიმიტრი ლობჟანიძე, დავით კაკიაშვილი, მალაქია ჯაიანი, ანტონ გიგიტაშვილი და სხვები.

მუზეუმს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა აქტივის ფართო ქსელი. აქტივში ითვლებოდნენ ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი „ამხანაგი ზაალ აბაზაძე“, რაიაღმასკომის თავმჯდომარე „ამხანაგი იასონ გოგოლაძე“.

მუზეუმმა თავის მუშაობაში ჩააბა სამუზეუმო საქმით დაინტერესებული მოხუცი პენსიონერი გიორგი თედეშვილი.

ეს ხალხი, ხშირ შემთხვევაში, უანგაროდ ან მცირე ანაზღაურების სანაცვლად აბარებდა მუზეუმს ექსპონატებს. ზოგიერთი მათგანისათვის უბრალო შექება ან ადგილობრივ პრესაში მადლობის გადახდაც მნიშვნელოვანი იყო.

ექსპონატების შეგროვების პარალელურად, აუცილებელი იყო მათი დამუშავება-შესწავლა სამეცნიერო თვალსაზრისით,ამ მიმართულებითაც ბატონი ვარლამს ნულიდან მოუწია მუშაობის დაწყება.

როდესაც ბატონი ვარლამის მოღვაწეობას ვეცნობით, ვხედავთ თავის საქმეზე შეყვარებულ პროფესიონალს,საკმარისი იყო მიეღო ცნობა ისტორიული ნივთის, ან მოვლენის შესახებ, იგი დაუზარებლად, თვითონ მიდიოდა ინფორმაციის გადასამოწმებლად,აწყობდა ექსპედიციებს. გარდა საექსპოზიციო სამუშაოებისა, იგი იწყებს რაიონის ტერიტორიაზე მომხდარი ისტორიული მოვლენების შესწავლას, ასევე იკვლევს სხვადასხვა საკითხს. მისი ნაშრომი „ არქეოლოგიური მასალები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში“ წარმოადგენს პირველ ნაბიჯებს არქეოლოგიური მასალის დამუშავებასა და სისტემატიზაციაში. იმ პერიოდში არქეოლოგიური მასალა შემთხვევით იყო მოპოვებული, ესენი იყო: ხელსაფქვავები „მელიგორადან“. კაჟის ნამგლის პირები ტკოცის „აკროპოლიდან“,- ამ გორების არქეოლოგიური გათხრები ბევრ საინტერესო მასალას გამოავლენს ჩვენი ერის ისტორიის შესახებო“,- წერს ბატონი ვარლამი.

ბრინჯაოს პერიოდის მასალა შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი და ბატონი ვარლამიც ახდენს მათ სისიტემატიზაციას და აღწერას. ესენია: შუბისპირები, სატევრები, ცულები.

რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის საფუძველზე იგი აკეთებს დასკვნას, რომ ,-„ეს ექსპონატები უტყუარ მასალას გვაძლევს იმის შესახებ,რომ ხაშურის დღევანდელი ტერიტორია და, საერთოდ, შიდა ქართლი სწორედ ის ცენტრალური თემი იყო,სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ძველი მოსახლეობა.

შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და ისტორიულმა კვლევებმა სავსებით დაადასტურა ბატონი ვარლამის ეს მოსაზრება.

მას განხილული აქვს მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური მასალაც.

იმ პერიოდში ხელმისაწვდომი მასალის საფუძველზე, ძსალიან მნიშვნელოვან და ამასთანავე კარგი ინტუიციის მქონე ისტორიკოსის შესაფერის დასკვნას აკეთებს, იგი წერს: „ხაშურის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და ეთნოგრაფიული პარალელები ადასტურებენ, რომ მოსახლეობა, რომელიც ასეთი მაღალი კულტურით ცხოვრობდა, ძველი იბერების წინაპრები იყვნენ.“

ბუნებრივია,რომ ბატონმა ვარლამმა მიუძღვნა გამოკვლევა წიფის გვირაბის მშენებლობას, ეს მოვლენა არა მარტო ხაშურის, არამედ, მთელი ამიერკავკასიის მაშტაბით,იყო მნიშვნელოვანი. ხოლო კონკრეტულად ქალაქი ხაშურის არსებობა სწორედ ამ რკინიგზის გაყვანამ განაპირობა. მკვლევარს დიდი მუშაობა აქვს გაწეული წიფის გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებული ნიუანსების დასაზუსტებლად. მართალია, ეს თემა უცხო არ იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ იყო საკითხები, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად იყო შესწავლილი, კერძოდ, გვირაბის მთავარ სამუშაოთა მწარმოებელის ინჟინერ ფ.დ. რიძევსკის ბიოგრაფია, სრულიად არ იყო ნაჩვენები მშენებლობაზე მომუშავე ადამიანები, დამაჯერებლად არ იყო განმარტებული ინჟინერის „ტრაგედია“ და გვირაბის პირას ობელისკის აგების საკითხი.

აღნიშნულ ნაშრომში აღწერილი ბევრი საინტერისო მომენტებიდან მინდა, გამოვყო ერთი, რომელიც კარგად მეტყველებს ბატონი ვარლამის დამოკიდებულებაზე საკითხის შესწავლის მიმართ. როგორც ცნობილია, არსებობს მითი ,რომ ინჟინერმა თავი მოიკლა, იმიტომ რომ, გვირაბის ორი ბოლო აცდა ერთმანეთს. სიმართლის გასარკვევად, ბატონი ვარლამი ჩავიდა წიფაში, მოძებნა ადამიანი, რომელიც გვირაბის მშენებლობაზე მუშაობდა, მიმართა მოსკოვისა და ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს და ბიბლიოთეკებს. როდესაც გაირკვა, რომ წიფის გვირაბის მშენებლობის შემდეგ რიძევსკი პოლონეთში მუშაობდა, დაუკავშირდა ვარშავის რკინიგზის უფროსს. ამ კვლევის შედეგად ბატონმა ვარლამმა დოკუმენტურად უარყო გავრცელებული მითი. ასევე მოიძია ინჟინერ რიძევსკის სურათი.

მან საზოგადოებას გააცნო წიფის გვირაბის პირას აგებული ობელისკის ჭეშმარიტი ისტორია. გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ეს ობელისკი აიგო ფერდინანდ რიძევსკის საპატივცემულოდ.

სინამდვილეში კი მის აგებას არაფერი საერთო არ აქვს ინჟინერის თვითმკვლელობის ლეგენდასთან. სარკინიგზო გვირაბის დამთავრებიდან, სამი წლის შემდეგ, თბილისის ვაჭართა დეპუტაციამ მეფის ნაცვალს მიმართა წინადადებით, რომ მეფის კავკასიაში ყოფნა (1888 წლის 12 ოქტომბერს მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ალექსანდრე მესამემ სურამის გვირაბის მშენებლობა დაათვალიერა) რაიმე ძეგლით აღენიშნათ, რისთვისაც ვაჭრები მზად იყვნენ, გაეღოთ თავიანთი წილი თანხა. მეფის ნაცვალს ეს აზრი ძალიან მოეწონა და გადაწყდა დაედგათ ობელისკი წიფის გვირაბის დასავლეთ პორტალთან.

ობელისკი აკურთხეს და გახსნეს 1893 წლის 22 ივლისს.

ცალკე უნდა ითქვას სურამის გვირაბის მშენებლობის დამთავრების აღსანიშნავად ზარაფხანაში მოჭრილი ბრინჯაოს მედლის შესახებ,რომლის ერთი ეგზემპლარი მუზეუმში ინახება და ამ ექსპონატის მოძიების ისტორია ცალკე აქვს აღწერილი ბატონ ვარლამს თავის წერილში „მუზეუმის კორესპოდენტები და აქტივი“, იტრიის სკოლის დირექტორმა კარლო ნადირაძემ სკოლაში ჩაატარა თათბირი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ამ თათბირზე ერთმა მოსწავლემ განაცხადა, რომ მან თავის ვენახში იპოვა სპილენძის დიდი მედალი, რომელზეც გამოსახული იყო ორთქლმავალი, ეს აღმოჩნდა ზემოთაღნიშნული მედალი.

ვარლამ გურგენიძეს ეკუთვნის ნაშრომი აკაკი წერეთელის ხაშურის საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ და ასევე მისი ერთი ლექსის „სახსოვარის “-ს გამო, რომელიც ჩვენს რაიონთანაა დაკავშირებული.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ აკაკი წერეთელი ხაშურის საზოგადოებას დაუახლოვდა ბეჟან წერეთელის ოჯახის საშუალებით რომელსაც ცოლად ჰყავდა სატიველი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული ნიცა, ხოლო მეორე სიძე იყო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვანო მაჩაბელი. აკაკი საჩხერეში ძალიან იყო დაახლოებული ბეჟან წერეთელის ოჯახთან, და ხშირად იყო სტუმრად სატივეში ალექსანდრე ბაგრატიონ დავითიშვილის ოჯახში, სადაც იკრიბებოდა ხაშურის ინტელიგენცია. გარდა ამისა, აკაკის რძლად უნდოდა ნიცას და ბაბო ბაგრატიონი, მაგრამ ეს განზრახვა ბაბოს ნაადრევმა გარდაცვალებამ ჩაშალა.

აკაკის ურთიერთობა ჰქონდა ბრილში მცხოვრებ თავად ნიკო დიასამიძესთან.

1885 წლის ზაფხულში აკაკი სურამში ისვენებს და მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო საღამოში.

აკაკი ისე უყვარდათ ხაშურში, რომ მისი სახელობის ფონდიც კი დაარსეს. აკაკის გარდაცვალებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ხაშურის საზოგადოებაში. 1915 წლის 16 აპრილს გაიმართა აკაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ვარლამ გურგენიძე თავისი დროის შვილი იყო და მისი კვლევის საგანს შეადგენდა რაიონში მიმდინარე რევოლუციური პროცესები, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მის მიერ შეგროვილი ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებები, რომელიც სამ ტომად არის აკინძული და სადაც შეტანილია ასზე მეტი რევოლუციონერის მოგონება.. მკვლევარს დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული და სრულყოფილად არის გადმოცემული ხაშურის საზოგადოების ცხოვრების ეს მხარე. მას აქვს გამოკვლევა ხაშურის არალეგალური სტამბის შესხებ. ხაშურში არალეგალური სატამბის გაკეთება საშა გეგეჭკორისა და კამოს სახელებთანაა დაკავშირებული, სტამბა ჭირდებოდათ პროკლამაციების დასაბეჭდად და კიდევაც მოაწყვეს 1906 წლისათვის თაგვეთის ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებულ „ღამურას“ კლდის გამოქვაბულში და 1912 წლამდე აქ იბეჭდებოდა, რეგიონში ვრცელდებოდა პროკლამაციები. შემდეგ სტამბამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

ბატონი ვარლამის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია სტამბის არსებობის სავარაუდო ადგილის შესასწავლად,ჩატარდა მცირე არქეოლოგიური გათხრები, რის შედაგადაც, აღმოჩნდა სტამბის შრიფტის ნაწილი, რომელიც მუზეუმში ინახება.

ცალკე მინდა, აღვნიშნო მისი ნაშრომი,--ხალხის ბედნიერებისათვის თავგანწირული რაინდი“, რომელიც ზინდისელ რევოლუციონერ მიხეილ დავითისძე აბაზაძეს ეძღვნება. ის აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ პროცესებში,მაგრამ ახალგაზრდა გარდაიცვალა გადასახლებაში. მუზეუმში ინახება მიხეილ აბაზაძის მეტეხის ციხიდან და გადასახლებიდან ოჯახისათვის გამოგზავნილი წერილები.

ვარლამ გურგენიძე 1965 წლის 24 ივნისს,52 წლის ასაკში,გარდაიცვალა. წავიდა ვალმოხდილი, მაგრამ, ალბათ, ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. ვარლამ გურგენიძის სახელი დღესაც პატივისცემას იწვევს მუზეუმის თანამშრომლბში. მისი ნაშრომებით დღესაც სარგებლობენ, რაც იმის დასტურია, რომ ბატონმა ვარლამმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო რაიონის ისტორიის შესწავლას., სამხარეთმცოდნეო საქმიანობას. 1983 წელს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ფართოდ აღნიშნა ვარლამ გურგენიძის დაბადების 70 წლისთავი. ჩატარდა სამეცნიერო სესია.

ვარლამ გურგენიძის სახელი მინიჭებული აქვს ხაშურის ერთ-ერთ ქუჩას.

მისი დაბადების 100 წლისთავზე გამოიცა ვარლამ გურგენიძის ნაშრომების მცირე კრებული. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის ღვაწლზე რაიონში სამუზეუმო დარგის განვითარების საქმეში.

ეს წერილიც მცდელობაა საზოგადოებას შევახსენოთ ამაგდარი ადამიანი, მისი შრომა და თავდადება ცხოვრებაში არჩეული საქმისადმი.

დავით ჩადუნელი,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
წიგნადი ფონდის მცველი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31)

წითელფლოტელი ოთარ (დიმიტრი) ალექსანდრეს ძე კოპაძე დაიბადა 1924 წელს ქ. ხაშურში. სწავლობდა ხაშურის რკინიგზის №16 საშუალო სკოლაში, რომელიც 1941 წლის ივნისში წარჩინებით დაამთავრა. მაშინ ის 17 წლის ჭაბუკი იყო. სკოლის დამთავრებისთანავე ოთარ კოპაძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მაშინ უკვე სამი თვის დაწყებული იყო დიდი სამამულო ომი. 1942 წლის ზაფხულზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კავკასიისკენ გამოიჭრნენ და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, 18 წლის ოთარ კოპაძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 19 ოქტომბერს ახალგაზრდა პატრიოტი მეომარი თავის დას მაროს მოქმედი არმიიდან გამოგზავნილ წერილში წერდა: „...კარგად მესმის ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე მისთვის ყველაზე მრისხანე ჟამს. მესმის, რომ დედა სამშობლო მოითხოვს შველას და მეც მზად ვარ, დავიცვა იგი მტკიცედ, ერთგულად და სიცოცხლის დაუზოგავად. სწორედ სამშობლოს უსაზღვროდ სიყვარულმა შემაძლებინა, დამეძლია და შევჩვეოდი ჩვენს დაშორებას და მე რადგან ძალიან მიყვარს მშობლები, ყველა თქვენ, განსაკუთრებით კი ჩვენი სამშობლო, არ შემიძლია, გულდამშვიდებით ვუყურო ბრძოლას, რომელიც უფრო და უფრო მეტი გააფთრებით გრძელდება. მე რომ ამ ბრძოლაში არ მივიღო მონაწილეობა, ეს იქნებოდა ღალატი სამშობლოსადმი, რომელმაც აღმზარდა, დამავაჟკაცა და ხელში იარაღი მომცა... მე ვარ საბჭოთა უძლეველი არმიის გულადი მებრძოლი, მე ვარ კბილებალესილი ჩემი სამშობლოს, ჩემი ხალხის ვერაგ მტერზე, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე... იქონიეთ იმედი, რომ არ შევარცხვენ თქვენს სახელს, არ შევირცხვენ თავს და იმედი მაქვს, რომ გამარჯვებული დაგიბრუნდებით”.

ო. კოპაძე, როგორც წითელფლოტელი, მონაწილეობს საზღვაო სადესანტო ოპერაციებში. იგი იცავდა ნოვოროსიისკს, რომელიც ჰიტლერელმა ბარბაროსებმა ნანგრევებად აქციეს. გმირი მეომარი სიცოცხლის დაუზოგავად მოქმედებს გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. განსაკუთრებულ მოხერხებულობას ავლენს სადაზვერვო – საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს, თავის მებრძოლ მეომრებთან ერთად, ო. კოპაძემ დაატყვევა მტრის ოფიცერი და თავისი ნაწილის სარდლობას წარუდგინა, რითაც უფროს მეთაურთა მადლობა დაიმსახურა. მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა საზღვაო ქალაქ – პორტ ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით. ო. კოპაძის მეზღვაურთა ქვეგანაყოფი მტერს რისხვად მოევლინა და ხელჩართულ ბრძოლაში მძიმე ზარალიც მიაყენა, მაგრამ ჩვენებმაც ბევრი შესანიშნავი მეომარი დაკარგეს. მათ შორის იყო ქართველი მეომარი – წითელფლოტელი ოთარ (დიმიტრი) ალექსანდრეს ძე კოპაძე, რომელმაც ფაშისტ დამპყრობელთაგან მშობლიური კავკასიის მიწა-წყლის განთავისუფლებას შესწირა სიცოცხლე.

სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებში მოითხოვა ივანე ლომიძემ ფრონტზე გამგზავრება, მაგრამ უარი უთხრეს. წინააღმდეგობის მიუხედავად იგი მაინც ახერხებს წითელი არმიის რიგებში გაწვევას. მალე ბატარეის პარტორგანიზაციის მდივნად იქნა არჩეული. ამ ბატარეამ თავი ისახელა ქალაქ სევასტოპოლისათვის ბრძოლაში.

1942 წლის 11 აპრილს, არმიის სარდლობამ ივანე ლომიძე, ორ სხვა ამხანაგთან ერთად, სამხედრო საიდუმლო დავალებით მოავლინა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. 17-19 აპრილს საქ. კპ(ბ)-ის მდივანმა კ. ჩარკვიანმა და შეროზიამ მიიღეს ივანე ლომიძე და მისი ამხანაგები. დავალების შესრულების შემდეგ, იგი დაბრკოლებებით, მაგრამ მაინც ჩავიდა სევასტოპოლში და მოხსენება წარუდგინა არმიის შტაბს.

ყირიმში, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, კონტუზირებული ივანე ლომიძე, ტყვედ ჩაიგდეს ფაშისტებმა, მაგრამ 1943 წელს მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა, დაუკავშირდა პოლონელ პარტიზანებს და მათი დახმარებით შეუერთდა წითელი არმიის ნაწილებს. იგი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

სერგო მღებრიშვილი 1924 წელს შევიდა ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლაში. მისი დამთავრების შემდეგ დაინიშნა ოცეულის მეთაურად მეორე ქართული დივიზიის მეორე ლეგიონში. ამ ლეგიონს მეთაურობდა კონსტანტინე ლესელიძე. 1934 წლიდან სერგო სწავლას აგრძელებს კიროვის სახელობის სამედიცინო აკადემიაში. ომის დაწყებისთანავე, როგორც ექიმი, ფრონტზეა. იბრძვის მეთექვსმეტე სივაშის ორგზის ორდენოსან, №153 მსროლელ დივიზიაში და სხვაგან. გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ იბრძვის. დაჯილდოებული იყო ლენინის წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, მრავალი მედლით.

1942 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში საორთქმავლო დეპოს მემანქანე პავლე მარიამიძე. ფრონტზეც მემანქანედ იყო – ატარებდა სამხედრო ეშელონს სტალინგრადი-ტიხორეცკის გზაზე. სტალინგრადის გარემოცვის დროს მან შვიდი სამხედრო ეშელონი გამოიყვანა, ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ იბრძოდა უკრაინის მეორე ფრონტზე, მონაწილეობა მიიღო ქალაქ ლუცკისა და როვნოს აღებისთვის ბრძოლებში. უნგრეთში, ქალაქ ბალაშშადიარმატის აღების დროს, პავლე მარიამიძემ და მისმა თანამებრძოლებმა ხელთ იგდეს 12 ტანკი, 16 ქვემეხი, ტყვედ აიყვანეს 600 ფაშისტი.

ომის დამთავრებამ პ. მარიამიძეს ჩეხოსლოვაკიაში მოუსწრო.

ომი რომ დაიწყო, ნოე არჯევანიძე არმიაში ახალგაწვეული იყო. ქალაქ ბერდიჩევის მისადგომებთან იდგა მისი ნაწილი. ამიტომ, ომის დაწყების მესამე დღიდან ჩაება მტერთან ბრძოლაში. მასთან ერთად იბრძოდნენ ხაშურლები: ვლადიმერე კახურაშვილი, გივი ლომსაძე, გიორგი პაქსაშვილი, ბეჟან გიორგაძე, ალექსანდრე ფირცხალავა.

შემდეგ ნოე სტალინგრადთან იბრძოდა. მან მონაწილეობა მიიღო ხარკოვის, ვოროშილოვგრადის გათავისუფლებაში. ბრძოლებით გაირა რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის ტერიტორია.

ომის დამთავრების შემდეგ, ნოე არჯევანიძე ხაშურის სალოკომოტივო დეპოში მემანქანედ მუშაობდა.

ხაშურელი იყო შოთა კოშკაძეც, რომლის მამაცობის შესახებ 1943 წელს გაზეთი „კომუნისტიც” წერდა. „ მეთაურმა შ. კოშკაძეს დაავალა „მოენეს” მოყვანა. შოთამ წინასწარ შეიგულა ბლინდაჟი, საიდანაც „მოენე” უნდა მოეტაცა. იგი რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად ბნელ ღამეს მიხოხდა ბლინდაჟთან. შოთა დაწინაურდა და ორი ყუმბარა სტყორცნა მიზანში. შემდეგ ვეფხვივით ჩაუხტა მტერს და დაბნეული რუმინელი ოფიცერი ხელებაწეული გაიგდო წინ. ამ ოპერაციისათვის შოთა კოშკაძემ მედალი „მამაცობისათვის” დაიმსახურა.

ხაშურის საორთქმავლო დეპოს მემანქანეს, ბესარიონ კოშკაძეს სამი შვილი ჰყავდა ფრონტზე. უფროსი – ივანე უგზო-უკვლოდ დაიკარგა ქერჩის ნახევარკუნძულზე გაჩაღებულ ბრძოლებში. ომის ფრონტზე მამაცთა სიკვდილით დაეცა მეორე ვაჟიც, შოთა, უკრაინის სტანიცა-ვიშნიოვკისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ეს იყო 1944 წლის ივლისში. მაშინ იგი უკვე ლეიტენანტის სამხრეებს ატარებდა. უმცროსი დავითი კი გამარჯვებული დაუბრუნდა ოჯახს, მაგრამ ფრონტზე დაავადებული მალე გარდაიცვალა.

ფრონტზე თავი ისახელა მზვერავმა ალექსი კიმოთეს ძე მახათაძემ. ჩადენილი მამაცობისა და გმირობისათვის იგი დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის” ორდენით, მედლებით.

1944 წლის 14 იანვარს ადგილობრივი გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა” წერდა: „ფრონტზე მყოფმა ირაკლი ტიმოთეს ძე მახათაძემ სიხარულით შეიტყო მისი ფრონტელი ძმის – ალექსის დაჯილდოების ამბავი. მის მიმართ გაგზავნილ წერილში ირაკლი წერდა: „გამახარა ძმაო შენი დაჯილდოების ამბავმა. შევეცდები, რომ დავიმსახურო და მეც მივიღო მთავრობის ჯილდო „წითელი ვარსკვლავის” ორდენი.

გავიდა რამდენიმე თვე. წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული ალექსი მახათაძე ხაშურში ჩამოვიდა და კომკავშირულ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. უფროსი ძმა-ირაკლი კი ფრონტზე დარჩა. კარგი ხნით შეიგვიანა მისმა წერილმა და ბოლოს, გამოჩნდა, რითაც აღფრთოვანება შეიტანა მახათაძეების ოჯახში.

მოქმედი წითელი არმიიდან ფრონტიდან იწერებოდა ირაკლი. კმაყოფილების გრძნობით ატყობინებდა ძმას, რომ დაპირება გაამართლა – გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული ვარო წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ირაკლის წერილთან ერთად მისი მეთაურის წერილიც მოვიდა, რომელთაც ალექსის ულოცავს ძმის დაჯილდოებას და მადლობას, უთვლის ოჯახს სახელოვანი მებრძოლის აღზრდისთვის.

ირაკლი მახათაძე დაიბადა 1913 წელს, ხაშურის რაიონის სოფელ ჭანკოტაძეებში. 1924 - 1929 წლებში ხაშურის რკინიგზის მე-16 სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ხელობა ისწავლა, დურგლად მუშაობდა ხაშურის არტელ „წითელ ავეჯში“, სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე იგი წითელ არმიაშია, ამჟამად კავშირგაბმულობის ასეულში ითვლება და სასახელოდ ასრულებს საძნელო საბრძოლო დავალებებს.

ხაშურელმა რევაზ მახარობლიძემ დიდების სამივე ხარისხის ორდენი დაიმსახურა. მის შესახებ გაზეთი „გამარჯვება“ 1962 წლის 14 დეკემბერს წერდა: „სამამულო ომმა იქუხა თუ არა, რევაზ მახარობლიძე პირველთაგანი გაემართა სამშობლოს გადასარჩენად. მერე კი ფრონტმა, სხვა მილიონებივით თავის ორბიტაში მოიქცია ქართველი ვაჟკაცი.

რა დაავიწყებს პირველ საბრძოლო ნათლობას რეზოს. ომის ქარტეხილს ორმოცდაერთისავე ნოემბერში ეზიარა დებალცევესთან...

ფინეთი, ვიბორგის მხარე, პეტსამონის რაიონი....

როცა კაპიტან ვალინკინის ბრძანება შეატყობინეს, რიგითი ჯარისკაცი რევაზ მახარობლიძე, ფინეთის ყურეში მტრის მიერ გახსნილი ცეცხლი ქვეშ პონტონის ხიდის შეკეთებას ამთავრებდა.

ქართველი მკლავმაგარი ვაჟკაცი, მტერს არწივისებური გამოხედვით რომ ზაფრავდა, უფროსის წინაშე გაიჭიმა.

-აი, იქ, მოპირდაპირე მხარეს, - თქვა კაპიტანმა და ჭოგრიტი გაუწოდა, - ტყეში ერთ-ერთ მაღალ ხეზე ზის მოთვალთვალე და რამდენჯერაც არ ვცადეთ ყურეზე გადასხმა, საშუალება არ მოგვცა, გვდარაჯობს . . . ამოცანა გასაგებია?

-არის! – იყო რევაზის მოკლე, დამაჯერებელი პასუხი.

ქარიშხალში, როგორც იყო, ნავით გააღწიეს მოწინააღმდეგის ნაპირამდე ორმა. ლოდებისა და საარტილერიო ბომბების მიერ ნათხარ ორმოებს შორის ისე მიიწევდნენ თითქოს მტრის გარემოცვაში კი არა სანადიროდ მიდიანო და...

მალე მოეგო მტერი გონს და მამაც მებრძოლებს ცეცხლი გაუხსნა. ისევ მოხერხებამ აჯობა. ვიტკა სმირნოვთან ერთად რეზომ თავშესაფარი მტრისავე გარემოცვაში გამონახა. ორიოდ საათში კი თავიანთივე ნაწილში დაბრუნდნენ.

ამ საბძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებამ ჩვენი შენაერთების ყურეზე გადასვლა და მორიგი შეტევის განხორციელება გააადვილა.

მაშინ იყო, რომ სარდლობამ მახარობლიძე „დიდების მესამე ხარისხის“ ორდენით დააჯილდოვა.

რევაზ მახარობლიძე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ მაგალითებს იძლეოდა. არაერთხელ დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ბრძოლის ველს უბრუნდებოდა. ამიტომ სარდლობამ კიდევ დააჯილდოვა იგი ჯერ დიდების მეორე, ხოლო შემდეგ პირველი ხარისხის ორდენებით.

ასე გახდა რევაზ მახარობლიძე დიდების სამივე ორდენის კავალერი. ვახტანგ დავითის ძე ბოლოკაძემ 1942 წელს ლენინგრადში დაამთავრა უმაღლესი სპეციალური სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი და ომის დამთავრებამდე იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე.

ოთარ ვასილის ძე ტაგანაშვილმა ომის დაწყების წინ დაამთავრა სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი შტურმანის სპეციალობით. შემდეგ საზღვაო ფეხოსანთა ნაწილში მოხვდა და მეავტომატეთა ოცეული ჩაბარეს. იბრძოდა როსტოვის გათავისუფლებისთვის, სხვაგანაც.

არმავირთან ფაშისტებმა დაჭრილი, უგრძნობლ მდგომარეობაში ჩაიგდეს ტყვედ. მოახერხა გაქცევა და პარტიზანებს შეუერთდა. შემდეგ ისევ დაუბრუნდა ფრონტს.

1965 წლის 9 მაისს, ოქტომბრის ქუჩაზე, ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით სკვერში გაიხსნა მონუმენტი, რომელიც სამამულო ომში ამ უბნიდან დაღუპული მეომრების ხსოვნას მიეძღვნება. ხაშურის მარტო ამ ერთი პატარა უბნიდან 74 ვაჟკაცი წავიდა სამშობლოს დასაცავად. უკან მხოლოდ 33 დაბრუნდა, ხოლო 41 ბრძოლის ველზე დაეცა გმირის სიკვდილით.

ფრონტზე წავიდა ოთხი ძმა ვასილ ტაგანაშვილის ოჯახიდან, სამ-სამი ძმა ვასილ კაკიაშვილის, ანა ტაბატაძის ოჯახებიდან, ორ-ორი ძმა გრიგოლ ღვინჯილიას, ზაქარია გაჩეჩილაძის, გიორგი მღებრიშვილის, მელიტონ ლომსაძის, სიმონ ბერაიას, პარმენ გრიგალაშვილის, ევგენი გელაშვილის, ვლადიმერ ბარბაქაძის, დავით წვერიანაშვილის ოჯახებიდან, თითო მებრძოლი კი თითქმის ყველა ოჯახიდან წავიდა.

ბრძოლის ველზე დაეცნენ ძმები: ბიძინა და გივი ტაგანაშვილები, გივი და თამაზ ლომსაძეები, დავით და შალვა ქიმერიძეები, ივანე და ვახტანგ მთიულიშვილები.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

„ფურცელი არის სამყარო, სადაც ჩემი შინაგანი განწყობა შემიძლია გადმოვცე“,- ხაშურელი მწერალი ალექსანდრე კაკიაშვილი

<u>მურად მთვარელიძე, ლიტერატორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი</u>: ლექსო კაკიაშვილი 4 წელზე მეტია წერს ლექსებსაც და წერს პროზასაც. მაგრამ, ფაქტობრივად, ის ნაწერებს არ ბეჭდავდა. პირველად, ეკა ბაქრაძის ლიტერატურულ გაზეთში მისი 2 ნაწარმოები დაიბეჭდა 2 წლის წინ. მერე იყო პაუზა.

ამას წინათ, ლექსო მოვიდა ჩემთან ხაშურის თეატრის რეჟისორ გურამ კაპანაძესთან ერთად. აინტერესებდათ ჩემი აზრი. დავიტოვე მისი ნაწერები, აქ არის პოეზიაც და აქ არის პროზაც... და, ხომ გახსოვთ ეკა ბაქრაძისა და გიორგი ლობჟანიძის აფეთქება ხაშურში,.. აი, დაახლოებით იგივე განცდა დამეუფლა ლექსოს ნაწერების წაკითხვისას. განსაკუთრეებით ეს ეხება პროზას. და მისი ნამუშევრები საოცარია იმიტომ, რომ სულ სხვა რამეს წერს, სულ სხვანაირად წერს... აბსოლუტურად განსხვავებული სტილი აქვს თემატიკით, გამოსახვის ფორმებით, თავისი არქიტექტონიკით, თავისი მეტაფორული აზროვნებით და მეტყველებით და ყველაფრით. ერთი სიტყვით, ძალიან მაღალი აზრის დავრჩი. დამებადა სურვილი, რომ მისი ნაწარმოებებიდან შეგვერჩია რამდენიმე მოთხრობა, ნოველა. როგორი ნოველებია იცით?! ტრადიციული ნოველაც არ არის... მე ვფიქრობ, რომ ამას სჭირდება უფრო მეტად ჩაღრმავება თანამედროვე ლიტერტურის მკვლევარის



მიერ. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო რამეებს აღმოაჩენს მის ფსიქოლოგიურ ნაწერებში, სადაც ძალიან ერწყმის ერთმანეთს ფსიქოლოგიური ცოდნა, პასაჟების წვდომა და ფილოსოფიური ხედვა ავტორის.

საბოლოოდ, დასაბეჭდად შევარჩიეთ ხუთი ნოველა და ლექსომ გააგზავნა ლიტერატურულ პერიოდიკაში ყველაზე მთავარ, პრესტიჟულ გამოცემაში - „ლიტერატურულ გაზეთში“, სადაც ნაწერების წარდგინება და ბეჭდვა არის უკვე ძალიან დიდი წარმატება... ხუთივე მოიწონეს! და 5 აგვისტოს ნომერში ნოველები დაიბეჭდა, მათ დაეთმო თითქმის სამი გვერდი... დებიუტი შედგა... ფაქტობრივად, გაზეთის სამი გვერდი, გაზეთს, დებიუტანტი მწერლისათვის კი არა, ცნობილი მწერლებისთვისაც არ დაუთმია...

აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე გამიჩნდა სხვა გეგმებიც... იმიტომ, რომ თავად მოკრძალებული ადამიანია... ლექსო არ არის სპეციალობით ლიტერატორი, მაგრამ მწერლობას არ სჭირდება მაინცდამაინც ლიტერატურული განათლება... არის მოწოდებით, სულით და გულით მწერალი და ამავე დროს, ძალიან კარგი მწერალი. ამიტომ, ვინ უნდა იცოდეს ლექსოს მწერლობის შესახებ უპირველესად, თუ არა ხაშურმა, სადაც ის ცხოვრობს და წერს...

<u>ალექსანდრე კაკიაშვილი, ავტორი:</u> როგორ შემოვიდა წერა ჩემს ცხოვრებაში? - წერა არ არის უბრალოდ ასოების ერთობლიობა, რომელსაც მოისაზრებ და გადაიტან ფურცელზე... ეს არის შინაგანი მდგომარეობა, დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, რას განიცდი, როგორ ფიქრობ, როგორ აზროვნებ... ამ ყველაფერს, როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი უღრმავდები, მოაქვს შემდეგ ის დიდებული გრძნობა, რასაც წერის დასრულებისას გრძნობ, როდესაც კითხულობ შენს ნაწარმოებს... თუ ეს გაგაჩნია ადამიანს, იმ შემთხვევაში საკუთარ ნაწარმოებთან განიცდი ერთგვარ ინტიმურ კავშირს. ეს ნიშნავს იმას, რომ შენი სული იმ წამს დიდებულია, და დიდებულობს იმ საქმესთან ერთად, რასაც აკეთებ და რასაც წერ. ეს ერთი და მეორე... არსებობენ ადამიანები, რომლებიც სამყაროში პოზიტივებად იბადებიან. ერთი ხელის კვრა გჭირდება ადამიანს, რომ ირწმუნო შენი თავის და იმ საქმის, რასაც აკეთებ. რომ არა ეს ადამიანები, მე ახლა აქ არ ვიქნებოდი და არც არაფერი არ მოხდებოდა. მე ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი და ვიცნობ ბატონ მურად მთვარელიძეს.

-- <u>ჩემთვის რომელია, პოეზია თუ პროზა, მეტად ახლობელი?</u> - ჩემთვის არც ერთია უპირატესი. უპირატესია ჩემი შეგრძნება, რაც მე მომდის ხოლმე იმ მომენტში, როდესაც ვწერ, არ აქვს მნიშვნელობა ეს პროზაა იმ წუთისათვის თუ პოეზია, დამოკიდებულებაა ჩემთვის მნიშვნელოვანი.

-- <u>სად უფრო მეტად გადამაქვს ჩემი დამოკიდებულებები, პროზაში თუ პოეზიაში?</u> - პროზაში უფრო მეტად შესაძლებელია გახსნა ის თვალსაწიერი, რასაც ფიქრობ. ლექსში ძალიან მარტივია, ლექსში შეგიძლია, უბრალოდ, რაღაცას ჩაეჭიდო, აიღო და ერთ ფუძეზე ააგო მთელი ლექსის წყობა... პროზაში შეგიძლია დაიწყო ერთით, მაგრამ სასრული ისეთი მოიფიქრო, რომ აბსოლუტურად განსხვავებულს ფიქრობდე წერის საწყისში. ძალიან დიდ სივრცეს მოიცავს და ფანტაზიაც წარმოუდგენელი გააჩნია პროზას.

-- <u>რა იყო პირველი ნაწარმოები, რითი დავიწყე?</u> - პროზით დავიწყე... ფეისბუქ გვერდზე წავიკითხე წერილი, რომლის ავტორიც არ მახსოვს. ინსპირაცია იყო ეს წერილი... და დავწერე „წერილი საგიჟეთიდან“, რომელიც ეძღვნებოდა საკანში მჯდომ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს, ვისთვისაც ერთადერთი ცხოვრების მეგზური იყო ბეღურა... ვფიქრობ რომ კარგი გამოვიდა.. (იღიმის)

-- <u>წერისას პირად გამოცდილებას მოვიშველიებ თუ ფანტაზიას მივმართავ, არის თუ არა ისტორიები გამოგონილი?</u> - მე მგონია, რომ მწერალი როდესაც წერს, გარკვეულწილად ყველა ნაწარმოებში თავისი ის უნიკალური კოდი აქვს ჩადებული, რაც თავის პიროვნებას აიდენტიფიცირებს და ახასიათებს, რაც განუცდია. თარიღი იქნება თუ მოვლენა, ნებისმიერი მცირე ნიუანსი, ის დამადასტურებელი ნიშანია, რაც ავტორისათვის მნიშვნელოვანია იმ მომენტში, რაც წარმოაჩენს ავტორის პიროვნულობას, მის ხასიათს. თუნდაც იმ მოვლენებს, რაც წასულში განუცდია. ან კიდევ შეიძლება აუხდენელ ოცნებას, მაგრამ მაინც ოცნებობს... უბრალოდ, ეს ოცნება შეიძლება რეალიზებული იყოს, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ მოთხრობაში, რომელსაც წერს...

-- <u>ვწერდი თუა არა ბავშვობაშიც?</u> - ერთადერთი მცდელობა მქონდა წერის ბავშვობაში, ზღაპარი მოვიგონე და ამით დასრულდა ჩემი მწერლობა... მთელი ბავშვობა მოვდივარ სცენით, სცენის სიყვარულით, და ეს ერთადერთი მაცოცხლებელი ძალა იყო ამ ხნის განმავლობაში... ოცნება ავისრულე, რომ ჩემი თავი ეკრანზეც მენახა ფილმში. ფილმს ქვია „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ რეჟისორ ბესო სოლომანაშვილის, სადაც ვასრულებ კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის როლს. ფილმი გატანილია საერთაშორისო ფესტივალებზე...

-- <u>ჩემი სამომავლო გეგმები?</u> - არაფრისათვის არ მაქვს დრო, გარდა იმისა, რომ ავისრულო ოცნება, ვიყო მწერალი, სადაც ძალიან გახსნილად ვგრძნობ თავს. სცენა არის ის ადგილი, სადაც საშუალება მეძლევა ჩემი სული ვადიდებულო, ხოლო ფურცელი არის სამყარო, სადაც ჩემი შინაგანი განწყობა შემიძლია გადმოვცე. ამ ორის ერთობლიობა კი მთელ ჩემს პიროვნებას ქმნის.

<u>35 წლის, ორი შვილის მამა (მესამე შვილი, როგორც თავად ამბობს, მისთვის საკუთარი ძაღლია) ლექსო კაკიაშვილი სოკარის „ბენზინგასამართი“ სადგურის თანამშრომელია. მისი ავტორობით ჯერ მხოლოდ 13 ნოველაა შექმნილი. ლექსოს საქმიანობის შესახებ მხოლოდ ახლობლებისათვისაა ცნობილი, თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც, მის შესახებ პრესაში დაიბეჭდა. ლექსო ამბობს, რომ მისი ნაწარმოებების პირველი მკითხველი თავადაა. მას ერთი ჩვევა აქვს. როდესაც წერს, დასრულებულ ნამუშევარს სამჯერ გადაიკითხავს... თუ თვალზე ცრემლი მოადგა, ეს ნიშნავს რომ ნამუშევარი შედგა, თუ არა, უნდა „წაშალოს სიტყვები“.</u>

<u>მურად მთვარელიძე:</u> -საინტერესოა, რომ ამ ადამიანში შემოვიდა მწერლობა 4 წლის წინ, მანამდე აბსოლუტურად არ იყო მასში წერის მცდელობები, ეს ინსპირაციაა... ფაქტობრივად, ის გამტარია.

გვაქვს ლექსოსთან დაკავშირებით გეგმები. მისთვის უნდა მოვიძიოთ შესაფერისი სამსახური. წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით კი, როდესაც მისი ნამუშევრების რაოდენობა გაიზრდება, დავიწყებთ ფიქრს წიგნის გამოცემაზე. და კიდევ მაქვს გეგმები, რომელიც თავად ლექსომაც არ იცის და ამ ეტაპზე, დავტოვოთ საიდუმლოდ, ლექსოსათვის სიურპრიზად...

მე მინდა, ხაშურმა იცოდეს, რომ მას ჰყავს ძალიან სერიოზული ლიტერატურული ძალა. ეს იცოდეს მათ, ვინც უნდა იცოდეს. რომ ასეთი ადამიანებისადმი ყურადღებაა საჭირო და აღიარება...

<u>წარმატებები ლექსოს!...</u>

თ. ახალკაცი

- ქართული ცეკვა -

„სალაღობოს“ ახალი თაობა ახალ სიტყვას ამბობს - „გრანპრი“ ბულგარეთის ფესტივალზე

ქართული გენის და ჯიშის ზეიმია ანსამბლ „სალაღობოში“, რასაც თავისი ხელწერითა და მანერით გამოარჩევთ. ცნობენ ჩვენთან და საზღვარგარეთაც-ისეთი ცეცხლით და ყინით გადმოსცემენ ქართულ ცეკვას, ისტორიას, კულტურას. ყველაფერი კი, ბნელ, 90-იანებში დაიწყო. ერთი ქალბატონის სურვილით, რომელმაც გადაწყვიტა, რომ თავისი გამოცდილება, სასცენო მანერა, ხაშურში დაემკვიდრებინა. დღეს **ლია ბერუაშვილს** ყველა იცნობს, როგორც ქორეოგრაფს, რომელიც ბავშვისთვის მიცემულ პირობას, ყოველთვის ასრულებს, გულწრფელია და თავისი ნიშა აქვს ჩვენს ქალაქში. რა გზა გაიარა, როგორ დაიმკვიდრა თავი ხაშურში, წარმატებებზე და გასტროლებზე, თავად ქალბატონი ლია ისაუბრებს:

–დედა მყავს ხაშურელი, მთელი ჩემი ბავშვობა ხაშურში გავატარე. გორელი ვარ, ქორეოგრაფიული სტუდიაც იქ დავამთავრე. ისეთი ქორეოგრაფები მყავდა, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ, მიხეილ რაქვიაშვილი, რომან ჭოხონელიძე. ძალიან კარგი სკოლა მაქვს გავლილი, 13 წელი ვიცეკვე სცენაზე. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ხაშურში გავთხოვდი და მომიწია ოჯახურ რუტინაში ჩაბმა. 1999 წელს, ზაურ ხვედელიძესთან ერთად, ჩამოვაყალიბეთ ანსამბლი “სალაღობო”. იმის მერე, მოვდივართ საკმაოდ წარმატებულად.

-როგორ მიგიღოთ ხაშურმა?

–მიუხედავად იმის, რომ მაშინ ქართული ცეკვის ისეთი დიდოსტატები იყვნენ ხაშურში, როგორიც ქალბატონი მაყვალა და ბატონი ალბერტ ძიძიგური იყვნენ, მაინც გავბედე სტუდიის გაკეთება. ეს ერთგვარი რისკიც იყო ჩემი მხრიდან. მარტივი არ იყო. თავდაპირველად, 25 მოსწავლე მოვიდა. მე და ბატონმა ზაურმა, გავაერთიანეთ მოსწავლეები, ნდობა გამოვუცხადეთ ერთმანეთს და დავიწყეთ მუშაობა. უკვე 2000 წელს, წავედით პირველ გასტროლზე თურქეთში, ორი წლის შემდეგ, ისევ ახალი გასტროლი და წარმატებები. მივხვდით, რომ ჩვენი თანამშრომლობა ძალიან წარმატებული გამოდგა.

ბევრი გამოწვევა იყო, დღესაც ასეა. როცა თავის დამკვიდრების ეტაპზე ხარ, უფრო მეტი სირთულეა, უფრო მეტი პასუხისმგებლობაა - როცა გასტროლზე მიდიხარ, აუცილებლად კარგი შედეგით უნდა დაბრუნდე.

- როგორც ვიცი, მეწყვილესთან ერთად მუშაობთ და თქვენი ჰარმონიული თანამშრომლობა მუშაობის შედეგებზეც აისახება.

–ქალაქის მესამე სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ, ბატონი ალექსანდრე ჯოჯიშვილისგან ძალიან დიდი თანადგომა მივიღე, შემომთავაზა ამავე სკოლაში მქონოდა სტუდია. ამ ფაქტმა, დამატებითი ცვლილებების საჭიროება მოიტანა. დღეს მე მარტო აღარ ვმუშაობ. ალექსანდრე ამბარიძე გახლავთ ადამიანი, პროფესიონალი, ნამდვილი ხელოვანი, რომელთან თანამშრომლობა და ერთად საქმის კეთება დიდი პატივი და სიამოვნებაა ჩემთვის. მე გოგონების ჯგუფს ჩავუდექი სათავეში, ალექსანდრე ბიჭებთან მუშაობს. მუსიკალურ მხარეს მთლიანად ალექსანდრე უძღვება. ერთ ადგილზე არ ვჩერდებით და ამ თვისებებითაც ვგავართ ერთმანეთს, სულ ძიების, ინტერპრეტირების პროცესში ვართ. ესაა ორი გონიერი ადამიანის თანამშრომლობა, რომელიც ძალიან კარგი შედეგით სრულდება.

- მიუხედავად იმის, რომ ქალაქში კონკურენცია დიდია, საკმაოდ დიდი ნაკადი გყავთ მოსწავლეების, ანსამბლი რამდენ ბავშვს აერთიანებს?

–ანსამბლში, ამ ეტაპზე, 70 მოცეკვავეა, პანდემიამდე, გაცილებით მეტნი ვიყავით. რვა ცეკვაა ანსამბლის საცეკვაო რეპერტუარში. ქორეოგრაფია ყველა ცეკვაში ბოლომდე ჩვენია, ილეთები, ბუნებრივია, შეიძლება გამოიყენო, თუმცა უნდა გქონდეს შენი სტილი და ამას აღიარებენ კიდეც, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი ხელწერა. ფოლკლორში კოპირება დანაშაულია.

- როგორც სასცენო ქორეოგრაფია, კოსტიუმებშიც თქვენი ხელწერაა, თუმცა ძირითადი პრინციპები დაცულია.

–კოსტიუმებიც ჩვენი შექმნილია, ვცვლით დეტალებს, მასალას ვარჩევთ სხვადასხვა ნიშნით. აუცილებლად უნდა იყოს ფერები ტრადიციული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი აფხაზურის ფორმა, რომელიც ბოლოს შევკერეთ, ზუსტად იცავს ყველა ნიუანს, რაც კლასიკურად აფხაზურისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ჩემი ხელწერა აქაცაა. არ შეიძლება სხვადასხვა ფერების არევა. ქორეოგრაფები დიდ მოწონებას გამოხატავენ ჩვენი აფხაზური ცეკვის და კოსტუმების მიმართ. მათ შექმნაზე ბევრია ნაფიქრი. მუხამბაზი გვაქვს ცეკვა, სადაც ძალიან განსხვავებული კოსტიუმები გვაქვს

- როგორი თაობაა? სულ ისმის წუხილი, რომ ახალი თაობა ვერ იმეორებს წინა თაობის წარმატებებს.

–ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე თაობა უკეთესია, ან პირიქით. ახალ თაობას, ძველისგან განსხვავებით, მეტი სითამამე, სილაღე აქვთ, რაც ძალიან უხდება სახასიათო ცეკვებს. მსოფლიო ფესტივალზე უკვე მეექვსედ ვიყავი და დიდი სიამაყით ვამბობ, რომ უნიკალური ფოლკლორი გვაქვს, გამორჩეული. როცა საქართველოს აცხადებენ, დაშლილი მაყურებელი გროვდებოდა. ეს უდიდესი მოტივაცია და საიამაყეა. ჩვენი ფოკლორი მრავალფეროვანია, მთელი ისტორია ღევს და ჩვენ ამის წარმოჩენის შესაძლებლობა რომ გვაქვს, სხვა ქვეყანაში, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

- ფესტივალებზე და გასტროლებზე გვესაუბრეთ, იმ აღფრთოვანებებზე, რომელიც „სალაღობოს“ გამოსვლებს უკავშირდება.

–2000 წლიდან დაიწყო ჩვენი ფესტივალებში ჩართულობა. მოწვევა ძალიან ხშირად მოდის, არჩევა გვიჭირს ხოლმე. როცა ადგილობრივ კონცერტებში და ფესტივალებში ვმონაწილეობთ, გვიყურებენ, მოვწონვართ, უკვე იწყება შემოთავაზებები. არ შემიძლია მშობლების თანადგომა არ აღვნიშნო, მათი ჩართულობის გარეშე, წარმოუდგენელია რამის გაკეთება. ჩემთვის მარჯვენა ხელია კარგი მშობელი.

ოთხი წლის წინ, ბულგარეთის ქალაქ ნესებრში ვიყავით ფესტივალზე. არ გვიცნობდნენ, როგორც ანსამბლს. ჩვენი გამოსვლის შემდეგ, ყოველწელს მოდის მოწვევა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ შევძელით წასვლაც. ახლაც 10 ბავშვით ვიყავით, მინიმალური პროგრამა გავაკეთეთ, მაგრამ უნდა წავსულიყავით. აი, ისინიც:

ლიკა ბანცაძე, თეკლა თიგიშვილი, რუსკა ყაულაშვილი, მანანო ნოზაძე, ლექსო ყაულაშვილი, ზუკა გოგალაძე, ნიკა კოპალიანი, გიორგი გელაშვილი, საბა შუბითიძე, თორნიკე მხატვრიშვილი.

- რამდენი ცეკვით წარსდექით ბულგარელი მაყურებლის წინაშე?

–ოთხი ცეკვით წავედით. ეს იყო „აჭარული“, „აფხაზური,“ „პოპური“ და „ყაზბეგური“ და ათმა ბავშვმა, საოცარი ცეცხლი დაანთო სცენაზე, წარმოუდგენელი შეძლეს. დავბრუნდით გრან-პრით. ორ ფესტივალზე ვიყავით. ამავე ფესტივალის ორგანიზატორებმა გააკეთეს გალა-კონცერტი, სადაც მიწვეულები ვიყავით. პირველი ცეკვის შემდეგ, მაყურებლისგან რომ ემოცია წამოვიდა, ბავშვებს საოცარი სტიმული მიეცათ. მინდა აღვნიშნო, ფესტივალის მაღალი დონე, ის პირობები, რომლებიც მონაწილეებისთვის იყო შექმნილი, ის ურთიერთობები, რომლებიც ბავშვებს შორის ჩამოყალიბდა. გალა კონცერტს ესწრებოდა ნესებრის ადგილობრივი ტელევიზია. შემოგვთავაზეს, ჩაგვეწერა ჩვენი ცეკვები, რომ ბულგარეთის ფართო მასებს ეხილათ. მართლაც, გავაკეთეთ რამდენიმე ცეკვა, რომელიც გავიდა სატელევიზიო ეთერით. ესეც ერთ-ერთი აღიარება იყო ჩვენი ანსამბლის.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

–სოლო კონცერტით მინდა წარვსდგე ხაშურელი მაყურებლის წინაშე. ბოლოს, სოლო კონცერტი ექვსი წლის წინ გვქონდა. ის თაობა აღარ ცეკვავს, მაგრამ მინდა, ახალი თაობა ვაჩვენო ხაშურს.

”სალაღობო” არის ჩემი მეორე ოჯახი, ხან პირველ ადგილზეც დგება, როცა საქმე ითხოვს. ამის გარეშე, წარმოუდგენელია ჩემი ცხოვრება. ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან მავსებს, ენერგიას და სტიმულს მაძლევს.

ჩვენი მკითხველის სახელით, კიდევ ერთხელ ვულოცავთ „სალაღობოს“ ამ დიდ წარმატებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ანსამბლი მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებს ახალი მიღწევებით.

თ. ჯავახიშვილი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.